ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3999968

ნომერი: AR1603769

თარიღი : 25.05.2018

გაცემის თარიღი : 07.06.2018

გაცნობის თარიღი : 14.06.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისის ზღვაზე , დიდ ყურესა და ზღვას შორის არესებული ნახევარკუნძული, (ნაკვ.1/59); ქალაქი თბილისი, ლიპტოვის ქუჩა N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ჩხეიძე პ/ნ 01026007265
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 26 ბ. 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის არარად აღიარება

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 25 მაისის №AR1603769 განცხადება, რომლითაც ითხოვთ #01.12.21.001.220 და #01.12.21.001.221 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე გაცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების

არარად აღიარებას/ბათილად ცნობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ: ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა, ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ, გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო, დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლის-სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ოთარ ჩხეიძის მოთხოვნა სამსახურის ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღიარებასთან დაკავშირებით.
ასევე განგიმარტავთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60 პრიმა მუხლით განსაზღვრულია აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები. კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრება შესაძლებელია ქ. თბილისის მუნიციპლაიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას არარად აღიაროს/ბათილად ცნოს, მის მიერ #01.12.21.001.220 და #01.12.21.001.221 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე გაცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.